საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "18" 04 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 565/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 10 აპრილის N 5205 განცხადებით „პროქტერ & გემბლ ბიზნეს სერვისიზ კანადა კომპანის" (მის: სუიტ 800, 1959 აპერ უოტერ სტრიტი, პ.ო. ბოქს 997, ჰალიფაქსი, ახალი შოტლანდია, B3J 2x2, კანადა) წარმომადგენელმა დავით კაკაბაძემ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „ORAL-B" (რეგ. N 5205) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „ORAL-B" (რეგ. N 5205) საქართველოში რეგისტრირებულია 25.04.1997 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 25.04.2017 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-3, მე-5, მე-10 და 21-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „ORAL-B" (რეგ. N 5205) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 223, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 17.04.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; „პროქტერ & გემბლ ბიზნეს სერვისიზ კანადა კომპანის" წარმომადგენელს დავით კაკაბაძეს (მის: კოტე აფხაზის 44, 0104, თბილისი, საქართველო).

კანცელარია

ასლი დედანთან სწორია
"18" 04 2013 წ.
ხელმოწერა